

# GC აღმანახი

*№6 / ივნისი, 2020 წ.*



## სარჩევი

ყოველ წლიურად ჩინეთი 6 ჯერ მეტ ბირთულ ქობინს ღებულობს შეიარაღებაში ვიდრე ინდოეთი.....	3
რუსულმა წყალქვეშა ნავმა მონროს კონვენცია დაარღვია .....	4
საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნების II ტურში მწვანეები და ქალი კანდიდატები დაწინაურდნენ.....	5
ევროკავშირის პრიორიტეტები პოსტ-პანდემიურ პერიოდში.....	7
საქართველო ტრეფიკინგთან ბრძოლაში კვლავ მოწინავე ქვეყანად რჩება.....	9
გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მორიგი რეზოლუცია საქართველოს მხარდაჭერის შესახებ .....	10
„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერთა ონლაინ დიალოგი საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კონტექსტში .....	12

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## ყოველწლიურად ჩინეთი 6 ჯერ მეტ ბირთვულ ქობინს ლეზულობს შეიარაღებაში ვიდრე ინდოეთი



როგორც ცნობილია სამხედრო ხარჯების თვალსაზრისით ინდოეთი აშშ-ს და ჩინეთის შემდგომ მესამე ადგილზეა მსოფლიოში. 2019 წელს ინდოეთმა 71,1 მილიარდი \$ (მშპ-ს 6,8 %) დახარჯა თავდაცვაზე. მიუხედავად ამისა, ინდოეთი ბირთვული ქობინების რაოდენობით მის რეგიონალურ კონკურენტებს, ჩინეთსა და პაკისტანს ჩამორჩება როგორც ამას სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის [ცენტრი იუწყება \(SIPRI\)](#).

აღნიშნული ცენტრის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად ბირთვული ქობინების ჯამური ციფრის კლებისა 2019 წელს, ყველა ქვეყანა რომელსაც აღნიშნული შეიარაღება გააჩნია განაგრძობს მათ მოდერნიზირების.

SIPRI-ის მონაცემებით, ჩინეთს 290 საბრძოლო ქობინი გააჩნდა და ეს რიცხვი 320-მდე გაიზარდა 2020 წლის თებერვლისთვის. ამავე დროს, ინდოეთი მაჩვენებლები დაახლოებით 130 ქობინიდან 150-მდე გაიზარდა. მაგრამ, ინდოეთის არსენალი პაკისტანთან შედარებით მაინც მცირეა, 2019 წლის იანვარში დაახლოებით 150-მეტი ქობინი, რომელიც 2020 წლის იანვარში 160 იყო.

ბოლო პერიოდში ჩინეთსა და ინდოეთს შორის სასაზღვრო კონფლიქტი ისევ დაიძაბა. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ჩინეთი პირველად ანვითარებს ე.წ ბირთულ ტრიადას - მიწაზე, ჰაერში და ზღვაზე ბირთული იარაღის მატარებელი სისტემების განვითარებით. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მთავარი აქცენტი ჩინეთისთვის დღეს საზღვაო ბაზირების ბირთული შეკავების ბერკეტის შექმნაა.

ამის ფონზე, 2019 წელს ინდოეთის მხრიდან ისმის განცხადებები, რომ შეილება მან 1998 წელს მიღებული ბირთული დოქტრინა გააუქმოს და უფრო აგრესიული პოლიტიკის მიღებისკენ გადადგას ნაბიჯები, რაც სამხედრო სამიზნეებზე გამაფრთხილებელ და საპასუხო დარტყმებს გულისხმობს.

დასავლეთ და ჩრდილოეთ საზღვრებზე მუდმივი დაძაბულობის რეჟიმში მყოფი ინდოეთის შემფოთება შეილება გამოიწვიოს ბირთული არსენალის მხრივ მისმა რეგიონალურმა ჩამორჩენამ, რამაც შესაძლოა მალე ამ მიმართულებით არსებული პოლიტიკის გადახედვა გამოიწვიოს.

ჩინეთის მზარდი ამბიციების ფონზე, როგორც ჩანს ინდოეთს მისი უსაფრთხოების პოლიტიკაში გარკვეული კორექტივების შეტანა მოუწევს.

### **რუსულმა წყალქვეშა ნავმა მონროს კონვენცია დაარღვია**

გავრცელებული ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ რუსულმა წყალქვეშა ნავმა თურქეთის სრუტეები გაიარა და ხმელთაშუაზღვაში გავიდა, რაც მონროს კონვენციის დარღვევა არის. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, აკრძალულია შავი ზღვიდან ხმელთა შუა ზღვაში წყალქვეშა ნავების გადაადგილება.

მონროს კონვენციის მიხედვით, ბოსფორის სრუტეში გადაადგილება მხოლოდ თურქულ წყალქვეშა ნავებს შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კლასის წყალქვეშა ნავები შეიარღვებულია ე.წ. „კალიბრის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტებით, რომელიც ფართოდ გამოიყენება რუსეთის მხრიდან სირიის კონფლიქტში. არსებული ვარაუდით, აღნიშნული წყალქვეშა ნავი სირიაში საბრძოლო მორიგეობაზე მიემგზავრებოდა.



რუსული დასავლური ინდექსით- Kilo კლასის წყალქვეშა ნავი სულთან მეჰმედის სახელობის ხიდის ქვეშ. ფოტოს ავტორი - იურუკ იმიკი, 23 ივნისი.

აღნიშნული ფოტო ცნობილმა თურქმა გემების დამკვირვებელმა [იურუკ იმიკმა გადაიღო](#).

როგორც ოფიციალური მოსკოვის იუწყება, აღნიშნული ხომალდი რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში სარემონტო სამუშაოების მისაღებად კვეთდა სრუტეს. თუმცა აღნიშნული განცხადება ეჭვებს იწვევს.

საგულისხმოა, თუ ამდგვარი „გადასვლები“ რეგულარულ ხასიათს მიიღებენ, ამას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ხმელთაშუაზღვის არსებულ სამხედრო-საზღვაო ძალთა ბალანსზე.

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

### საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნების II ტურში მწვანეები და ქალი კანდიდატები დაწინაურდნენ

მიმდინარე წლის 28 ივნისს, საფრანგეთის რესპუბლიკაში მუნიციპალური არჩევნების II ტური გაიმართა. არჩევნების I ტური ამა წლის 15 მარტს ჩატარდა, II ტური კი, 22 მარტს უნდა გამართულიყო, თუმც, იგი ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო. არჩევნების I და II ტურებს შორის დაახლოებით 3-თვიანი შუალედის და COVID-19-ის ფონზე ჩატარებულ კენჭისყრაში ამომრჩეველთა მონაწილეობის ისტორიულად დაბალი მაჩვენებელი - 41,6%



<https://www.vie-publique.fr/>

**დაფიქსირდა.** შედარებისთვის, მაგალითად, საფრანგეთის წინა - 2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე ამომრჩეველთა მონაწილეობის ნიშნულმა 63,6% შეადგინა.

შედეგების თანახმად, 2020 წლის მუნიციპალური არჩევნების II ტური განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა *ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტიის (EELV)* და ზოგადად, ქალი კანდიდატების სასარგებლოდ. კერძოდ,

**ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტიის (EELV) კანდიდატებმა გამარჯვება მოიპოვეს საფრანგეთის დიდი ქალაქების უმეტეს ნაწილში**, მათ შორის, **ლიონში** - გრეგორი დუსემ, **მარსელში** - მიშელ რუბიროლამ, **სტრასბურგში** - ჟანა ბარსეგიანმა, **ბორდოში** - პიერ ურმიკმა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის გამარჯვებას ქალაქ ბორდოში ისტორიულ ცვლილებად **მიიჩნევენ**, ვინაიდან ბოლო 73 წლის განმავლობაში ქალაქს მხოლოდ მემარჯვენე მერები მართავდნენ. ასევე, **გრენობლის** ამომრჩეველთა უმრავლესობამ მხარი კვლავ - მე-2 ვადით დაუჭირა ქალაქის ამჟამინდელ ეკოლოგისტ მერს - ერიკ პიოლს.

საფრანგეთის დედაქალაქის მერობისათვის მეზობლ კანდიდატებს შორის კი ამომრჩეველმა, კიდევ ერთხელ, მე-2 ვადით გამოუცხადა ნდობა **პარიზის** ამჟამინდელ მერს - **სოციალისტ** ანე იდალგოს, რომელიც გახლავთ მწვანეთა პარტიის მოკავშირე. **მემარცხენე სოციალისტური პარტიის (PS) კანდიდატებმა**, პარიზის გარდა, მოწინავე პოზიციები დაიკავეს, აგრეთვე, რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში - **ნანტსა და ლილში**. თბილისთან დამოხილვადი ქალაქის - ნანტის მაცხოვრებელთა უმრავლესობამ, რომელიც უკვე 30 წელია სოციალისტური პარტიის მხარდამჭერია, ნდობა კვლავ - მე-2 ვადით გამოუცხადა ნანტის სოციალისტ მერს - ჟოანა როლანს. მსგავსად, ლილის ამჟამინდელმა მერმა მარტინ ობრიმ, რომელიც უკვე 18 წელია გახლავთ ლილის მერი, კვლავ მოიპოვა ამომრჩეველის ხმათა უმრავლესობა ქალაქის მერის პოზიციის დასაკავებლად.

**მემარჯვენე რესპუბლიკელთა პარტიის (PR) კანდიდატებს** შორის კი აღსანიშნავია, მაგალითად, **ქ. ნიცის** ამჟამინდელი მერი კრისტიან ესტროზი, რომელიც ქალაქის მერის პოზიციას 2008 წლიდან იკავებს და მას ქ. ნიცის ამომრჩეველმა, რომლის უმრავლესობა ტრადიციულად მემარჯვენე იდეოლოგიის მხარდამჭერია, ნდობა კვლავ - მე-3 ვადით გამოუცხადა.

რაც შეეხება **მმართველ პარტიას** - „**რესპუბლიკა, წინ!**“ (**LAREM**), მათ კანდიდატებს შორის აღსანიშნავია პრემიერ მინისტრი ედუარდ ფილიპი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა **ქალაქ ჰავრში**, რომლის მერი გახლდათ 2010-2017 წლებში და ამჯერადაც, მან ამომრჩეველის ხმათა უმრავლესობით მოწინავე პოზიცია დაიკავა ქალაქის მერობისთვის მეზობლ კანდიდატებს შორის.

საბოლოო ჯამში, 2020 წლის საფრანგეთის რესპუბლიკის მუნიციპალური არჩევნების შედეგები ცხადყოფს ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტიის (EELV) მზარდ პოპულარობას, ასევე, ტრადიციული პარტიების - მემარჯვენეთა და მემარცხენეთა გარკვეულ პროგრესს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც აღნიშნულმა პარტიებმა მოსალოდნელზე დაბალი შედეგები მიიღეს საფრანგეთის ბოლო საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებზე, მმართველი პარტიისათვის კი მოცემული არჩევნები ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. 2020 წლის მუნიციპალური არჩევნების, ისევე როგორც 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მწვანეთა მოძრაობა საფრანგეთში სულ უფრო ძლიერ პოლიტიკურ პარტიად ყალიბდება და რომელიც შეიძლება იქცეს მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე - დამოუკიდებლად თუ სოციალისტურ პარტიასთან ალიანსში, როგორც მმართველი პარტიის, ისე მარინ ლე პენის უკიდურესად მემარჯვენეთა პარტიის (RN) საპირწონედ.

### ევროკავშირის პრიორიტეტები პოსტ-პანდემიურ პერიოდში

მომავალი 18 თვის განმავლობაში ევროკავშირის საბჭოს 6-6-თვიანი ვადით უხელმძღვანელებს 1 ივლისიდან გერმანია, შემდეგ პორტუგალია და შემდეგ კი - სლოვენია. აღნიშნული ე.წ. „ტრიოს“ [სამოქმედო პროგრამის](#) ფარგლებში მთავარი პრიორიტეტი გახლავთ ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელების მაქსიმალური პრევენციის ხელშეწყობა და პოსტ-პანდემიური პერიოდის თანმდევი შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა.

eu2020.de

### Focus areas of Germany's Presidency of the Council of the EU

1 July through 31 December 2020

- Overcoming the consequences of the coronavirus pandemic + economic recovery
- Multiannual Financial Framework
- Negotiations on the future relationship with the United Kingdom
- Further topics, including climate protection, digitalisation, Europe's role in the world

სამოქმედო პროგრამაში, ასევე, პრიორიტეტად არის გათვალისწინებული პანდემიამდე არსებული საკითხები, როგორცაა მაგალითად, 2021-2027 წლების ე.წ. მრავალწლიან ევროპულ ბიუჯეტზე საბოლოო შეთანხმების მიღწევა და „ბრექსიტის“ ფონზე, ევროკავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის პარტნიორობის ორმხრივად სასარგებლო ფორმაზე შეჯერება.

დღევანდელი ეკონომიკური გათვლებით [მიიჩნევა](#), რომ პანდემიის გამო, ევროკავშირის ეკონომიკა შემცირდება დაახლოებით 7,5%-ით. შესაბამისად, დღეს, ევროკავშირის მიზანია ერთიანი ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის მეტი კონკურენტუნარიანობისა და სუვერენულობის ზრდა, განსაკუთრებით, **დიჯიტალიზაციის, ხელოვნური ინტელექტისა და ინფრასტრუქტურის** სფეროების განვითარებით, რაც ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ერთიანი ევროპული ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და გარკვეულწილად, შეამცირებს ევროკავშირის დამოკიდებულებას გარე ბაზრებზე, უწინარესად, ფარმაცევტულ სფეროში.

ამასთან, COVID-19-ის პანდემიის ფონზე გამოკვეთილი სოციალური უთანასწორობების გათვალისწინებით, ინკლუზიური საზოგადოების მიღწევის მიზნით, ევროკავშირი მიზნად ისახავს, განსაკუთრებით, **ახალი ტექნოლოგიებისა და ციფრული მმართველობის** განვითარების ხელშეწყობას საჯარო სექტორის, ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებებით. უფრო მეტიც, ახლო მომავალში, ინოვაციის, კვლევის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში ევროკომისარ მარია გაბრიელას [განცხადებით](#), ევროპული კომისია **ციფრული განათლების** შესახებ ახალ სამოქმედო გეგმას წარადგენს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად COVID-19-ის მიერ გამოწვეული კრიზისისა, ევროკავშირისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება ე.წ. **„მწვანე პაკტის“** განხორციელება ანუ მწვანე ევროპის შექმნა მდგრადი განვითარებისთვის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობით.

დაბოლოს, ევროპის ინტერესებისა და ღირებულებების დაცვა მსოფლიოში გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება კვლავ მომავალი წელიწად-ნახევრის განმავლობაში. კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიო ქვეყნების თანადგომას. ამ მხრივ, [მნიშვნელოვანია](#) აღინიშნოს, რომ დღეს, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, **მსოფლიოში ევროკავშირის დახმარების ყველაზე დიდი მიმღები ქვეყანა საქართველო გახლავთ**. საგარეო მიმართულებით არსებულ პრიორიტეტებს შორის, ევროკავშირისთვის, ასევე, ერთ-ერთ **პრიორიტეტად რჩება** გაფართოების პოლიტიკის გაგრძელება დასავლეთ ბალკანეთის რეგიონთან მიმართებით და აგრეთვე, **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტის მხარდაჭერა**, რომლის სამომავლო პერსპექტივა სწორედ ზემოაღნიშნული სამი ქვეყნის თავმჯდომარეობის პერიოდში - სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულზე განისაზღვრება.



ოლეგ (ზაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## საქართველო ტრეფიკინგთან ბრძოლაში კვლავ მოწინავე ქვეყანად რჩება



წყარო: <https://www.un.org/en/events/humantrafficking/index.shtml>

2020 წლის 25 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მორიგი [ანგარიში](#) მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ანგარიშში ქვეყნები დაჯგუფებულია 5 კატეგორიად. პირველ კალათაში განთესილია საუკეთესო შედეგების მქონე სახელმწიფოები, ხოლო ბოლო ჯგუფში- ქვეყნები, რომლებსაც ტრეფიკინგის კუთხით ყველაზე მძიმე მდგომარეობა აქვთ. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში 20 წელია, რაც მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ მდგომარეობას აფასებს მსოფლიოს 190-მდე ქვეყანაში. ანგარიში არის შეერთებული შტატების მთავრობის მთავარი [დიპლომატიური ინსტრუმენტი](#) ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოთა რესურსების კონსოლიდაციისთვის. ყოველწლიურად, დაახლოებით 25 მილიონი ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, ამდენად, მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის არსებობა, რომელიც ინდივიდუალურად შეაფასებს ქვეყნებს ადამიანებით ვაჭრობის კუთხით არსებული გამოწვევების კონტექსტში.

საქართველო უკვე მე-5 წელია პირველ კალათაში, ტრეფიკინგთან ბრძოლაში ყველაზე მოწინავე ქვეყნების რიგებშია. 2020 წლის ანგარიშში შეჯამებულია 2019 წლის განმავლობაში, ტრეფიკინგთან დაკავშირებით, ქვეყანაში არსებული სიტუაცია. სახელმწიფო დეპარტამენტი პოზიტიურად აფასებს საქართველოს ძალისხმევას, როგორც ადამიანით ვაჭრობის საქმეებზე გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმართვის, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით. ანგარიშის მიხედვით, გაზრდილია, როგორც ბრალდების შესახებ გამოტანილი დადგენილებების, ასევე, იდენტიფიცირებული მსხვერპლის რაოდენობა.

გამოკვეთილია ასევე გამოწვევებიც, რომლებიც გაჭიანურებულ სასამართლო პროცედურებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლთა ქვეყანაში დაყოვნებას უკავშირდება. ასევე, გაკეთებულია მოწოდება სახელმწიფოსადმი, რომ უზრუნველყოს პროცესების საჯაროობა და გამჭვირვალობა. სახელმწიფო დეპარტამენტი დადებითად აფასებს შრომის ინსპექტორის მანდატის გაფართოებას, თუმცა, აღნიშნავს დამატებითი ინსტიტუციური გაძლიერების აუცილებლობას. კერძოდ, ანგარიში იძლევა რეკომენდაციას თანამშრომლების რაოდენობის ზრდის, მათი დამატებითი რესურსებით უზრუნველყოფისა და კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგების ჩატარების შესახებ.

ტრეფიკინგის პრევენცია, მისი დროული გამოვლენა და აღკვეთა მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით და სასიხარულოა ამ მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებები და მათი აღნიშვნა პარტნიორების მიერ. ადამიანთა ვაჭრობასთან ეფექტური ბრძოლა საქართველოს ეხმარება მრავალი მიმართულებით ეფექტურ პოზიციონირებაში და ხელს უწყობს საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურებას. აუცილებელია, რომ კოვიდ 19-ის პერიოდში, ჩაკეტილი საზღვრების პირობებში, საქართველომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს რეკომენდაციები და აღმოფხვრას ყველა ის ნაკლოვანება, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს, როგორც დანაშაულის პრევენციის, ასევე მისი ადრეული გამოვლენისა და მასზე ეფექტური რეაგირების მიმართულებით.

## გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მორიგი რეზოლუცია საქართველოს მხარდაჭერის შესახებ



UN Photo/Elma Okic- <https://news.un.org/en/story/2019/10/1049461>

2020 წლის 22 ივნისს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ 43-ე სესიაზე მიიღო [რეზოლუცია](#) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, სახელწოდებით: „თანამშრომლობა

საქართველოსთან“. რეზოლუცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებს, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდაჭერისა და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი პრეცედენტია. დოკუმენტში აღნიშნულია ფუნდამენტური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის ფორმატში უსაფრთხოების, სტაბილურობის, ასევე, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების განხილვას. ასევე, ხაზგასმულია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის როლი უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების ეფექტურ გადაწყვეტაში. რეზოლუცია პოზიტიურად აღნიშნავს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარიატის თანამშრომლობას და ითხოვს ოკუპირებულ რეგიონებში გაეროს წარმომადგენლების დაშვებას. დოკუმენტში გამოხატულია შემფოთება ე.წ. ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან და მიმდებარედ მავთულხლართების გაბმის პროცესის უწყვეტობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ასევე ჩანაწერი ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციის, მათი სიცოცხლის უფლების შელახვის, უკანონო დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის, გატაცების, ქონების კონფისკაციის, ჯანმრთელობის უფლების დარღვევის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების დანგრევის მუდმივი პრაქტიკის შესახებ. ადამიანის უფლებათა საბჭო, მიღებული რეზოლუციით ავალებს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს, საბჭოს მომდევნო სესიებზე, რეზოლუციაში ასახულ საკითხებთან დაკავშირებით ზეპირი და წერილობითი ანგარიშების წარმოდგენას.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი სამთავრობო ორგანოა, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება გლობალურად ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის გაძლიერებაა. საბჭო გამოსცემს თემატურ რეკომენდაციებს და ეხმარება ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევებს. ადამიანის უფლებათა საბჭო 47 წევრი სახელმწიფოსგან შედგება, რომლებსაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუციები საბჭოში ყოველწიურად მიიღება [2017 წლიდან](#). აღნიშნულ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მხრიდან არაღიარების პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისთვის, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“- ს მკვლევარი

## „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერთა ონლაინ დიალოგი საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კონტექსტში



<http://eugeorgia.info/ka/article/737/evrokavshiri-saqartveloshi-sainvesticio-gegmis-ganxorcielebas-iwyeb/>

2020 წლის 18 ივნისს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერთა დიალოგი გაიმართა. აღნიშნული შეხვედრა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ხელმძღვანელობით, ვიდეოკონფერენციის ფორმატში ჩატარდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ შეცვალა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დღის წესრიგი, რადგან 18 ივნისს ბრიუსელში სამიტი უნდა გამართულიყო. თუმცა გლობალური კრიზისის გამო სამიტის ჩატარება 2021 წელს იგეგმება.

პანდემიის ფონზე ერთ-ერთი უპირველესი მიზანი გახლდათ ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერთა დიალოგის ფარგლებში მხარეების მიერ კოვიდ 19-ის პანდემიის თანმდევი გამოწვევების დასაძლევად მიღებული ზომების განხილვა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მსჯელობა.

მნიშვნელოვანია, რომ ევროინტეგრაციის გზაზე 2021 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი გახდეს გარდამტეხი ეტაპი საქართველოს მეტი პოლიტიკური ამბიციის გამოსაკვეთად და პრინციპის „მეტი მეტისთვის“ გასავითარებლად, რაც გულისხმობს ინტეგრაციის მეტი

შესაძლებლობების მიცემას იმ ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომლებიც მეტს აკეთებენ ევროკავშირთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა 2020 წლის შემდგომ პერიოდში ორიენტირებული იქნება მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკის განვითარებაზე, ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაზე, გარემოს დაცვაზე, ციფრულ ტრანსფორმაციასა და სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების ფორმირებაზე.

ხსენებული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება ხელს შეუწყობს მხარეებს შორის დაახლოებას და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნების სისტემების მოდერნიზებას.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერთა ონლაინ განხილვა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ევროკავშირის ინტერესი რეგიონის მიმართ მტკიცეა და ასევე, აჩვენებს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის ევროკავშირი უმსხვილესი დონორია როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე კრიზისის დროს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების ლიდერების ვიდეოკონფერენციის დასრულებისთანავე, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ დაახლოებით 1,5 მილიარდი ევროს ოდენობის ხელსაყრელი პირობებით გაცემული სესხი ხელმისაწვდომი იქნება საქართველოსთვის, უკრაინისა და მოლდოვასთვის. აღნიშნული შეთავაზების მიზანია მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ასევე, დღევანდელი მოცემულობის კონტექსტში ყურადსაღებია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის, ანგელა მერკელის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ კორონავირუსი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რის წინაშეც ევროკავშირი ოდესმე მდგარა.

კანცლერ მერკელის თვალთახედვით, კოვიდ 19-თან ბრძოლაში ევროპის ქვეყნების ერთობა და სოლიდარობა ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, პანდემიის თანმდევი გლობალური გამოწვევები მოითხოვს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების შიგნით წევრი ქვეყნების, ისე პარტნიორების მხარდაჭერას. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია მცირე სახელმწიფოებისთვის.

პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის უალტერნატივობა. ისტორიულად, საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ყოველთვის მიისწრაფოდა და მიისწრაფვის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ. მცირე სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი იყო და არის რეალურად არათანაბარ საწყისებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემაში სტრატეგიული პარტნიორობის მხარდაჭერა.

ამასთანავე, ნიშანდობლივია დღევანდელი მოცემულობა, რომელიც განსხვავდება შარშანდელი და შარშანწინდელი მოცემულობებისგან. პანდემიის შედეგად შექმნილმა გლობალურმა გამოწვევამ აჩვენა, რომ აუცილებელია დიდმა სახელმწიფოებმა მცირე სახელმწიფოებს მეტი შესაძლებლობები მისცენ, რათა მსოფლიო, რეგიონი უფრო ქმედითი და ეფექტური იყოს საერთო გამოწვევების დაძლევის პროცესში მომავალში.

პოსტ-პანდემიური საერთაშორისო რეალობა კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის, რომ საჭიროა ახალი მიდგომების დანერგვა როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონალურ დონეებზე.

შესაბამისად, შეცვლილი გეოპოლიტიკური კონიუნქტურა ევროკავშირის ლიდერებს მისცემს ახალ იმპულს ტრანსფორმაციისთვის, უფრო მოქნილი სისტემის განვითარებისთვის, მათ შორის გაფართოების კონტექსტში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომლებთანაც თანამშრომლობა სტრატეგიულ საკითხებზე წლებს ითვლის. იმედია, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა გაფართოების პარადიგმას ისე შეცვლის, რომ მის შედეგად კეთილდღეობის მეტი სივრცე შეიქმნება.

ამავდროულად, ევროპული ინტეგრაციის გზაზე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დიდი სახელმწიფოების მიერ მიდგომების შეცვლა მცირე სახელმწიფოსგან მოითხოვს მეტ აქტიურობას, სტრატეგიული გზავნილების გამოყენებით კომუნიკაციის არხების მეტად განვითარებას უშუალოდ წევრი ქვეყნების დედაქალაქების დონეზე და მათთვის ნათლად ჩვენებას იმისა, რომ საქართველოს თავისი სტრატეგიული როლით შეუძლია კონკრეტული სარგებელი მოუტანოს მთლიან, თავისუფალ და მშვიდობიან ევროპას.

მიუხედავად გამოწვევებისა, ქვეყანა უფრო მკაფიოდ უნდა ჩანდეს ევროპის პოლიტიკურ რუკაზე, რისთვისაც პოსტ-პანდემიურ პერიოდში შესაძლოა ახალი ფუნქციის შექმნაც დაგვჭირდეს.

ციფრულ ეპოქაში კი ეს შესაძლოა იყოს ქვეყნის ციფრულ ჰაბად ქცევა რეგიონში და თანამედროვე ეპოქის სიახლეებთან მაქსიმალური ადაპტირება. მით უფრო, რომ ციფრული შესაძლებლობების განვითარება ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ასევე, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელია დარგობრივი თანამშრომლობისა და ფართომასშტაბიანი ეკონომიკური პროექტების განვითარება.

დაბოლოს, სტრატეგიული პარტნიორების მხარდაჭერით წარმატებით უნდა შევძლოთ თანამედროვე, სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესის დასრულება.

ეს პროცესი კი კიდევ უფრო შეუქცევადს გახდის ჩვენს ევროპაში სრულფასოვნად დაბრუნებას და ქვეყანას მისცემს რეალურ შესაძლებლობას საქართველოს სახელმწიფოს სახელით, საკუთარი ხმის უფლების გამოყენებით, მიიღოს საერთო სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები ევროპული თუ ევროატლანტიკური სივრცის წევრ ქვეყნებთან ერთად.